

სარეზერვო ასლი



ინფორმაციულ ტექნოლოგიებში „ბეჭაფი“ ანუ სარეზერვო ასლი გამოიყენება კომპიუტერში არსებული ნებისმიერი მონაცემების დასაარქივებლად ანუ შესანახად.

სარეზერვო ასლს ორი მთავარი გამოყენება აქვს: ერთი ის რომ მონაცემების აღდგენა შესაძლებელი იქნება დაკარგვის შემთხვევაში და მეორე მონაცემთა აღდგენა თუკი ის განზრახ იქნება წაშლილი დამნაშავეს მიერ.

მონაცემთა დაკარგვა ხშირი შემთხვევაა კომპიუტერით მოსარგებლე პირებისათვის. 2008 წლის გამოკვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებლების 66% დაუკარგავთ ინფორმაცია მათი კომპიუტერებიდან.



ვინაიდან სარეზერვო ასლის სისტემა შეიცავს სულ მცირე ერთ ასლს იმ მთლიანი მონაცემებიდან, რომელიც არსებობს მონაცემთა განთავსება/დატევა იძენს

უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. ამ სარეზერვო ადგილის გამონახვა და სარეზერვო პროცესის მართვა საკმაოდ რთული პროცესია. გასათვალისწინებელია განთავსების სტრუქტურაც. დღესდღეობით არსებობს მრავალი გზა მონაცემთა განთავსებისათვის. გასათვალისწინებელი ფაქტორებია მონაცემთა უსაფრთხოება და პორტაბელობა. მონაცემთა შესანახ ადგილზე გაგზავნამდე ხდება მისი შერჩევა, დამუშავება და გამოყოფა



გათვალისწინეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- დაადგინეთ თუ რა მონაცემების რეზერვირება არის მნიშვნელოვანი. კრიტიკული ინფორმაციის რეზერვირება სასურველია მოხდეს უფრო ხშირად, მაგალითად რაიმე ცვლილების შეტანის შემდეგ.
- დაიანგარიშეთ რა მოცულობის სარეზერვო ასლის გაკეთება გჭირდებათ. მაუსის მარჯვენა ღილაკით დააჭირეთ ფაილს და საქალაქდეს, შემდგომ დააჭირეთ Properties და ნახეთ ზომა (Size).
- მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეინახეთ ერთ ადგილას, მაგალითად D დისკზე რაიმე საქალაქდეში (folder), რომ ადვილად მოხდეს მისი პოვნა და სარეზერვო ასლის გაკეთება.
- სარეზერვო ასლის გაკეთების დროს, საქალაქდეს დააწერეთ თარიღი, რადგან მონაცემთა აღდგენის საჭიროების შემთხვევაში იცოდეთ თუ როდის იქნა გაკეთებული სარეზერვო ასლი.
- სარეზერვო ასლის გაკეთების შემდგომ შეამოწმეთ გადატანილი ინფორმაციის სისრულე, შეადარეთ გადატანილი ფაილების და ფოლდერების რაოდენობა და ზომა.
- შეარჩიეთ სარეზერვო ასლის შენახვის მოწყობილობა:

USB დისკები (1 გიგაბაიტიდან- დან 64 გიგაბაიტამდე მოცულობის) არის ძალიან მოსახერხებელი და სწრაფი მონაცემთა კოპირების საშუალება, მაგრამ მათი გამოყენება სარეზერვო ასლის შენახვისათვის კარგია მხოლოდ დროებით ან მოკლევადიან პერდიოდში , რადგან ადვილად შესაძლებელია მისი დაკარგვა მისი პატარა ზომის გამო. თუ თქვენ გადაწყვეტთ რეგულარულად გამოიყენოთ ეს საშუალება, აუცილებლად შეინახეთ უსაფრთხო ადგილას და გამოიყენეთ მხოლოდ სარეზერვო ასლის გასაკეთებლად.

USB გარე მყარი დისკი (External Hard Drive) უპირატესობა არის მისი მოცულობა, (320 გიგაბაიტიდან – 1.5 ტერაბაიტამდე) ასევე არის სწრაფი და მოსახერხებელი მონაცემთა კოპირების საშუალება, მაგრამ ვინაიდან ეს არის მექანიკური საშუალება შესაძლებელია მისი გაფუჭება ან ფიზიკური დაზიანება დავარდნის შემთხვევაში. თუ თქვენ გადაწყვეტთ რეგულარულად გამოიყენოთ ეს საშუალება შეარჩიეთ დაზიანების გამძლე (ანტი-შოკის) მქონე USB გარე მყარი დისკი, აუცილებლად შეინახეთ უსაფრთხო ადგილას და გამოიყენეთ მხოლოდ სარეზერვო ასლის გასაკეთებლად.



CD-R ან DVD-R კომპაქტ დისკები - არის იაფი საშუალება რათა ჩაწეროთ სარეზერვო ასლი, მაგრამ მათი ნაკლი არის მცირე ტევადობა (CD – 700 მეგაბაიტი, DVD – 4.7 გიგაბაიტი) და მხოლოდ ერთჯერადი გამოყენების საშუალება. არსებობს ასევე CD-RW და DVD-RW მრავალჯერადი გამოყენების დისკები.



შეგიძლიათ გააკეთოთ სარეზერვო ასლი მარტივი მეთოდით, თქვენი კომპიუტერიდან გადააკოპიროთ სასურველი ფაილები და ფოლდერები სხვა მოწყობილობაზე (USB მოწყობილობა) ან ჩაწეროთ CD/DVD დისკზე.

